აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევის პროფილი

დამტკიცებულია: ფაკულტეტის

საბჭოს 2018 წ. 12 იანვრის სხდომაზე

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
დეკანატი
DEAN OFFICE

ქუთაისი 2018

1. კვლევის პროფილის მიზანი

კვლევითი პროფილის მიზანია სახელმწიფოს და რეგიონის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი განვითარების აქტუალური თეორიული და პრაქტიკული პრობლემების შესწავლაზე ორიენტირებული, სწავლა/სწავლებასთან ინტეგრირებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა.

დასახული მიზნის მისაღწევი ამოცანები:

- ✓ შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის რეგულარულად ჩატარება;
- ✓ საერთაშორისო და ეროვნული დონის საგრანტო კონკურსებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობაზე ზრუნვა;
- ✓ პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა ჩართულობის ამაღლების ხელშეწყობა სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებსა და ღონისძიებებში;
- ✓ ფაკულტეტის კვლევითი პროფილის ფარგლებში ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;
- ✓ მიზნობრივი კვლევების განხორციელება პოტენციურ კლიენტებთან აქტიური კამპანიების ჩატარებით;
- ✓ სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის ზრდის უზრუნველყოფა.

2. გამოყენების სფერო

ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია როგორც საუნივერსიტეტო სივრცეში, ისე აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებული სასწავლო და კვლევითი დაწესებულებების, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს, არასამთავრობო და კერძო სექტორის მიერ.

3. მოკლე სიტუაციური აღწერა

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ძირითადად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს და ზრუნავს განავითაროს კვლევითი პროფილი, ამისთვის ფაკულტეტზე განხორციელდა სიტუაციური ანალიზი SWOT მეთოდოლოგიით და შემუშავდა სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია გრძელვადიანი (7 წელი) სტრატეგიული განვითარებისა და მოკლევადიანი (3 წელი) სამოქმედო გეგმები.

დღევანდელი მდგომარეობით ფაკულტეტზე კვლევები ხორციელდება საკუთარ რესურსებზე დაყრდნობით და/ან აკადემიური პერსონალის სხვა უნივერსიტეტებთან,

კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე. ხშირია აკადემიური პერსონალის მიერ ერთობლივი კვლევის შედეგების წარდგენა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ ჩატარებულ კონფერენციებზე. შესაბამისად, კვლევების შედეგები გამოქვეყნებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებსა და კრებულებში.

4. სიტუაციური ანალიზი (SWOT)

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
➢ ფაკულტეტის მიერ კვლევითი პროფილის შესაბამისი საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენციების ყოველწლიური ჩატარება; ➢ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობა საერთაშორისო თუ ეროვნულ კონფერენციებში; ➢ პარტნიორების არსებობა ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე; ➢ მაღალი მოტივაციისა და აკადემიური მოსწრების სტუდენტების არსებობა; ➢ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის - „სამართლის, ფილოსოფიის, კულტურის და სოციალური მეცნიერებების კვლევისა და სწავლების განვითარება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ - აქტიური თანამონაწილე.	➢ კვლევითი პროფილის მიხედვით საგრანტო პროექტების სიმცირე; ➢ აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ კვლევებში სტუდენტთა ჩართულობის სიმცირე; ➢ აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ცნობადობის სიმწირე; ➢ ერთობლივ საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი; ➢ მიზნობრივი კვლევების სიმცირე; ➢ ინტერდისციპლინალური კვლევების არარსებობა.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
✓ აკადემიური პერსონალის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გააქტიურება და შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის ორგანიზება;	➢ კვალიფიციური კადრების დამაგრების პრობლემა; ➢ წარდგენილი საგრანტო პროექტების დაუფინანსებლობა.

✓ სტუდენტების საგრანტო კონკურსში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა; ✓ ერთობლივ საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის მიღება; ✓ მიზნობრივი კვლევების განხორციელება პოტენციურ კლიენტებთან აქტიური კამპანიების ჩატარებით. ✓ აკადემიური პერსონალის მიერ ინტერდისციპლინალური კვლევების დაგეგმვა; ✓ აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება.	

5. არსებული და პოტენციური პარტნიორები:

საჯარო სექტორი – პრეზიდენტის ადმინისტრაცია, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, თვითმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა და მერია, ქალაქ ქუთაისის ტერიტორიულ - ადმინისტრაციული ერთეულები და იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტები;

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები – თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თსუ-ს სამართლის ფაკულტეტი, თსუ ეკონომიკის საერთაშორისიო სკოლა; თსუ-ს პოლიტიკურ მეცნიერებათა დეოარატამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარატამენტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი.

კერძო სექტორი – სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია", სს "თიბისი ბანკი" , სს "ლიბერთი ბანკი", სს "ფინკა ბანკი საქართველო", სს "კრედო ბანკი", მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალი", მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ლაზიკა კაპიტალი", სადაზღვევო კომპანია "არდი ჯგუფი", სადაზღვევო კომპანია "ალდაგი", ტელეკომპანია „აჭარა", „მეგატივი", აუდიტორული ფირმა „ელიტ აუდიტი", საადვოკატო/საკონსულტაციო ბიუროები, სამედიცინო კლინიკა „XXI საუკუნე", ტელეკომპანია „რიონი"; ინტერპრესნიუსი, რადიო ძველი ქალაქი, ქუთაისი პოსტი....

უცხოელი პარტნიორები - კიევის ტარას შევჩენკოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი (2018 წლის თებერვალში გაფორმდება მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივ:

- სამაგისტრო პროგრამის შექმნას;
- საერთაშორსიო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებას;
- ევრაზიის ფონდით დაფინანსებული საგრანტო პროექტებში მონაწილეობას;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლით პროგრამას.

6. კვლევითი მიმართულებები და პროექტები:

ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებსა და კრებულებში:

- ✓ უნგრეთის ყოველთვიური მულტი სამეცნიერო ჟურნალი [http://pshdpublish.info/wp-content/uploads/2017/12/PSHD - %D0%B6%D1%83%D1%80%D0%BD%D0%B0%D0%BB-22.pdf];
- ✓ ჟურნალი „ბიზნესი და მენეჯმენტი", აშშ, http://pubs.sciepub.com/jbms/3/2/1/index.html
- ✓ "საჯარო ადმინისტრირება და მმართველობა" IJPAAM, თეირანი, ირანი;
- ✓ "საჯარო პოლიტიკა და მმართველობა" IJPPA, თეირანი, ირანი, http://www.ijpaam.org/;
- ✓ „ინოვაციური ტექნოლოგიები და განათლება", ვალენსია, ესპანეთი [http://library.iated.org/view/SHONIA2016ELE];
- ✓ ჟურნალი „პრობლემების მართვა 21-ე საუკუნეში", ლიტვა, [http://www.scientiasocialis.lt/pmc/] ;
- ✓ ყოველკვარტალური ჟურნალი „ეკონომიკა და ეკონომიკური პოლიტიკა", პოლონეთი, [http://apcz.pl/czasopisma/index.php/EQUIL/article/view/EQUIL.2014.026];
- ✓ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტთან ერთად ჩატარებული ყოველწლიური საერთაშორსიო სამეცნიერო-ეკონომიკური კონფერენციის მასალების ამსახველი ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორსიო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი".
- ✓ საერთაშორისო ჟურნალი „ეკონომიკის, სოციოლოგიისა და სამართლის აქტუალური პრობლემები", პიატიგორსკი, რუსეთი [http://vsenauki.ru/journals/8518/#.Wi47DdKWaM8]
- ✓ საერთაშორსიო სამეცნიეორ ჟურნალი „თანამედროვე მეცნიერებისა და განათლების პრობლემებისა და პერსპექტივების საერთაშორისო სამეცნიერო მიმოხილვა", მოსკოვი, რუსეთი [https://scientific-conference.com/o-nauchnykh-konferentsiyakh.html]
- ✓ საერთაშორსიო სამეცნიერო ჟურნალი „ინოვაციური ტექნოლოგიები და განათლება", ვალენსია, ესპანეთი [http://library.iated.org/view/SHONIA2016ELE]

- ✓ საერთაშორსიო სამეცნიერო ჟურნალი „პარადიგმები XXI საუკუნის ეკონომიკურ თეორიაში“, კიევი, უკრაინა[http://econom.univ.kiev.ua/wp-content/uploads/science/conferences/2017/paradigm/Materiali%202017%20pdf%20(1).pdf[

ფაკულტეტი რეგიონული განვითარების ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევით დაინტერესდა 2006 წელს და დღემდე სხვადასხვა სახელწოდებით პერიოდულად ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებს:

- ✓ ადგილობრივი ბიუჯეტი და გამჭვირვალობა (2008 წ);
- ✓ გლობალიზაცია, მსოფლიო კრიზისი და სამხრეთ კავკასია (ქუთაისის უნივერსიტეტთან ერთად ჩატარებული, 2009 წ);
- ✓ რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები(2010 წ);
- ✓ უნივერსიტეტის 80 წლის და ფაკულტეტის 20 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონფერენცია(2013 წ);
- ✓ ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნეს-პროცესების მართვა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტთან ერთად ჩატარებული, 2015-2017წწ)
- ✓ თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები(2015, 2017 წწ).

2015 და 2017 წელს ჩატარებული კონფერენციების (თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები) ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ვორქშოფებზე შემდეგი მიმართულებით:

- ✓ უნივერსიტეტი და რეგიონული ინოვაციური სისტემა;
- ✓ ინტერპერსონალური კომუნიკაცია და ბიზნეს პროცესები;
- ✓ სამედიცინო ტურისტული პოტენციალის რეალიზების რეგიონული ასპექტები;
- ✓ რეგიონული ტერორიზმი და საერთაშორისო უსაფრთხოება;
- ✓ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციფიკა და რეგიონული თავისებურებები;
- ✓ რეგიონული მედიის პრობლემები და პრიორიტეტები.
- ✓ საერთაშორისიო უსაფრთხოების რეგიონული გამოწვევები;
- ✓ ფინანსური განათლება და სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა;
- ✓ ადამიანის უფლებები და თანამედროვე სახელმწიფო.

ვორქშოფების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები გადაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

ამასთან, ფაკულტეტზე პრეზიდენტის ადმინისტრაცის თანადაფინანსებით 2016 წლიდან ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის ფონდის დანადაფინანსებით სახელმწიფო მოწყობის საპრეზიდენტო კოლეგიუმი, რომელიც ხორციელდებოდა ერთი წელი.

პარალელურად საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით ამოქმედდა პროექტი - **„ფილოსოფიის, კულტურის და სოციალური მეცნიერებების კვლევისა და სწავლების განვითარება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში“,** სადაც წარმოიშვა აუცილებლობა ჩართულიყო სამართლის მეცნიერებებიც. შესაბამისად, ფაკულტეტის ადმინისტრაციის და სამართლის სტუდენტების აქტიური ჩართულობის შედეგად პროექტის ხელმღვანელებმა გადაწყვიტეს სამართლის მიმართულებითაც ეწარმოებინათ კვლევა და პროექტს დაერქვა **„სამართლის, ფილოსოფიის, სოციალური და კულტურის მეცნიერებების კვლევისა და სწავლების განვითარება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში“**.

პროექტის ფარგლებში ტარდება ვორქშოფები, რომლებიც მოიცავდა როგორც ქართველი პროფესორების საჯარო ლექციებს, ისე სტუდენტების მოხსენებებს (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის), ისე უცხოელი უმაღლესი რანგის და კვალიფიკაციის მქონე პროფესორების (ი. ჰარდი, ე. ერკულეი, თ. კობუში, ა. არნდტი, ვ. იეშკე, შ. გოზეპატი და ა. პოლმანი) საჯარო ლექციები. შეხვედრების ძირითადი თემა არის: „ადამიანის ღირსების, თავისუფლების, თანასწორობის, სოლიდარობის, აღმსარებლობის უფლებები და სამართლებრივი სახელმწიფო“.

პროექტის ფარგლებში განხილული იქნა და დამუშავდა სამართლის ფილოსოფიის პრაქტიკული საკითხები, რომლებსაც ინტერდისციპლინარული ღირებულება გააჩნიათ და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია როგორც თვით სამართალის და ფილოსოფიის, ისე სოციალური თეორიის და კულტურის მეცნიერების სფეროების სტუდენტებისა და მკვლევარებისათვის.

განხილული საკითხების და პროექტის აქტივობების მასალების საფუძველზე მომზადდა ორი აკადემიური მოხსენებათა კრებული. პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა ორი ინტერდისციპლინური რიდერი (კონსტიტუციური სამართალი; რელიგიის ფილოსოფიის თეორია) სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო სილაბუსებისთვის. ამჟამად, დაგეგმილია რიდერების საჯარო განხილვა შესაბამისი სასწავლო კურსების სიალბუსებში ასახვის მიზნით, რომლებიც როგორც სასწავლო

ლიტერატურა გათვალისწინებულია შესაბამის სილაბუსებში (სასწ. კურსი: შესავალი სამართალმცოდნეობაში, კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობა) სამართალი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, შესავალი სამართლის ფილოსოფიაში).

*ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების ამსახველი მასალები იხილეთ დანართში.

7. ადამიანური რესურსი

კვლევითი უნარების განვითარების მიზნით ფაკულტეტის ადმინისტრაცია ატარებს პროფილის შესაბამის მიზნობრივი საკვლევი პროექტების კონკურსს. ამასთან, აქტიურად ახორციელებს აკადემიური პერსონალის ფინანსურ მხარდაჭერას სხვადასხვა ტიპის კვლევებსა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად.

ფაკულტეტზე რეგიონული განვითარების ეკონომიკური და სოციალური პრობლემებზე და თანამედროვე სამართალგანვითარების აქტუალური თეორიული და პრაქტიკული საკითხებზე კვლევას ახორციელებს ეკონომიკის, სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების და სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტების აკადემიური პერსონალი და დოქტორანტები (იხ. დანართი 2) პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად (თსუ, ეკონომიკის საერთაშორსიო სკოლა - ISET, სამედიცინო კლინიკა „XXI საუკუნე", სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი", შპს „მეგიტივი", აჭარის ტელევიზია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სს „ვითიბი ბანკი საქართველო", სს „ლიბერთი ბანკი", კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი).

8. მატერიალური რესურსები

ფაკულტეტს გააჩნია თანამედროვე კომპიუტერებით და პრინტერებით აღჭურვილი მსხვილი ტექნოლოგიური ბაზა, საკმარისი საკანცელარიო მასალები და სწრაფი კომუნიკაციის საშუალებები.

თუმცა, საჭიროა მატერიალური რესურსების გაზრდა (დამატებით კაბინეტ-ლაბორატორიების შექმნა, კომპიუტერული ტექნიკის და ფერადი პრინტების შეძენა) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ კვლევების ჩასატარებლად, შესაბამისი

გარემოს არსებობისათვის, აუცილებელია მიმართულებების მიხედვით გამოიყოს სასწავლო აუდიტორიები, რომლებიც აღიჭურვება ინტერნეტითა და შესაბამისი ტექნიკით.

9. განვითარების მიზნები

ფაკულტეტი, კვლევითი პროფილის განვითარების მიზნით, მზადაა:

- ✓ როგორც სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ისე კერძო სექტორს შეთავაზოს აქტუალური საკითხების შესწავლის და პრობლემების გადაჭრის გზები;
- ✓ ინტერდისციპლინური კვლევების წახალისებისთვის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო, პედაგოგიური და ჰუმანიტარულ პროფილის ფაკულტეტებთან);
- ✓ სტუდენტების აქტიური ჩართულობით განახორციელოს კვლევები როგორც რეგიონული განვითარების ეკონომიკური და სოციალური პრობლემების, ისე თანამედროვე სამართალგანვითარების თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესასწავლად;
- ✓ დაგეგმოს უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებზე მუშაობა;
- ✓ უზრუნველყოს კვლევის შედეგების მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნება.

ფაკულტეტს განსაზღვრული აქვს კვლევის ორი მიმართულება:

- ✓ **რეგიონული განვითარების ეკონომიკური და სოციალური პრობლემები;**
- ✓ **თანამედროვე სამართალგანვითარების აქტუალური თეორიული და პრაქტიკული პრობლემები საქართველოში.**

ამასთან, ფაკულტეტს შესწევს უნარი აწარმოოს კვლევები (დამოუკიდებლად და/ან პარტნიორებთან) შემდეგი ქვემიმართულებით.

- ✓ რეგიონული ეკონომიკა და მუნიციპალური მართვა
- ✓ ეკონომიკური განათლება და სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა;
- ✓ უნივერსიტეტი და რეგიონული ინოვაციური სისტემა;
- ✓ ინტერპერსონალური კომუნიკაცია და ბიზნეს პროცესები;
- ✓ სამედიცინო ტურისტული პოტენციალის რეგიონული ასპექტები;
- ✓ რეგიონული მედიის პრობლემები;
- ✓ ტერორიზმი და რეგიონული უსაფრთხოება;
- ✓ დანაშაულის და დანაშაულობის რეგიონული თავისებურებები;

- ✓ თანამედროვე სახელმწიფოს სამართლებრივი ასპექტები;
- ✓ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები

შესაბამისად, აკადემიური პერსონალის მიერ კვლევების განხორციელების პროცესი გრძელდება და საფუძველი ეყრება სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით პროექტებს (იხ. დანართი 3).

10. ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები

ინტერნაციონალიზაციის კუთხით ფაკულტეტი გეგმავს:

- უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან სამეცნიერო-კვლევითი ურთიერთობების დამყარებას (კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, კრაკოვის ეკონომიკური ინსტიტუტი);
- მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერ/მკვლევართა მოწვევას;
- უცხო ენის მცოდნე ახალგაზრდა სპეციალისტი/მკვლევარების მოზიდვას ფაკულტეტზე;
- ერასმუს+ პროგრამებში მეტი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობას.